ავტორები:

გიორგი კლდიაშვილი
ანტონ ვაჭარაძე

შესავალი

1937 წლის 22 ნოემბრის ე.წ. „სტალინური სია" გამორჩეული დოკუმენტია "დიდი ტერორის" ისტორიაში, რომელიც საქართველოს სსრ-ისთვის დამტკიცდა. განსასჯელთა რაოდენობით (439 ადამიანი), 22 ნოემბრის სია მხოლოდ 1937 წლის 10 აგვისტოს სიას ჩამოუვარდება, რომელშიც 555 ადამიანია შეყვანილი. სიაში აღმოჩნდნენ საზოგადო მოღვაწეები, მაღალი თანამდებობის პირები და უბრალო ხალხიც. წინამდებარე სტატია წარმოადგენს სიის რაოდენობრივ და შინაარსობრივ ანალიზს.

"დიდი ტერორის" ისტორიაში 1937 წლის 22 ნოემბრის საქართველოს სია პირველი დოკუმენტია, რომელზეც პოლიტბიურო დათანხმდა ლავრენტი ბერიას წინადადებას - მსჯავრდადებულთა საქმეები საქართველოში განეხილა ე.წ. "განსაკუთრებულ სამეულს"

(სამეული/ Тройка)[1] და არა სსრკ-ის უზენაესი სასამართლოს სამხედრო კოლეგიის გასვლითი სესიას[2], ვინაიდან დაკავების და გასამართლების ტემპები ერთმანეთს ჩამორჩებოდა.

მთელი საბჭოთა კავშირის მასშტაბით საქართველო იყო ერთადერთი გამონაკლისი, სადაც "სტალინურ სიაში" მოხვედრილ ადამიანებს ასამართლებდა განსაკუთრებული სამეული.



ГРУЗИНСКАЯ С.С.Р.

СПИСОК

ЛИЦ, ПОДЛЕЖАЩИХ СУДУ ВОЕННОЙ КОЛЛЕГИИ

ВЕРХОВНОГО СУДА СОЮЗА ССР.

"24" ноября 1937 года

СПРАВКА

1. Грузинская ССР..... - 439

[1] შინსახკომის განსაკუთრებული სამეული (Особая тройка НКВД) - რესპუბლიკური, რეგიონული და სამხარეო ადმინისტრაციული (არასასამართლო) ორგანოები, რომლებიც შეიქმნა „ანტისაბჭოთა ელემენტების" წინააღმდეგ რეპრესიების მიზნით და მოქმედებდა სსრკ-ში 1937 წლის აგვისტოდან 1938 წლის ნოემბრამდე.

[2] სსრკ-ის უზენაესი სასამართლოს სამხედრო კოლეგია (Военная коллегия Верховного суда СССР (ВКВС)) - ორგანო, რომელიც განიხილავდა განსაკთრებით მნიშვნელოვან საქმეებს არმიისა და ფლოტის უმაღლესი ხელმძღვანელობის, ასევე სამშობლოს ღალატსა და კონტრრევოლუციაში ბრალდებულების მიმართ. "დიდი ტერორის" საწყის ეტაპზე გაიმართა საჩვენებელი, ე.წ. „მოსკოვის მეორე სასამართლო პროცესი", "გაერთიანებული ტროცკისტულ-ზინოვიევისტური ცენტრის" საქმეზე (გ. პიატაკოვი, კ. რადეკი და სხვები). მალევე, ეჟოვმა და ვიშინსკიმ შეადგინეს ნოტა სტალინის სახელზე, რომელშიც ბელადს შესთავაზეს, დაუყოვნებლივ გაეგზავნა უზენაესი სასამართლოს სამხედრო კოლეგიის გასვლითი სესიები ქვეყნის მასშტაბით, რათა ზოგიერთ რეგიონში „მოღალატეობრივი, დივერსიული, მავნებლური, ჯაშუშური და ტერორისტულ-ტროცკისტული ჯგუფების საქმეებისთვის გადაეხედათ". საქართველოში გამსვლელი სესია 1937 წლის სექტემბერ-ოქტომბერში მუშაობდა და დაახლოებით 900-მდე ადამიანის გასამართლება მოასწრო, თუმცა შემდგომში ეს ფუნქცია სრულად გადაიბარა განსაკუთრებულმა სამეულმა.

1937 წლის 22 ნოემბრი სია, თავფურცელი და პირველი გვერდი. რეზოლუციით - "თანახმა ვარ" (За) ხელს აწერს სტალინი (И.Ст), მის გარდა სიას ხელი მოაწერეს მოლოტოვმა და ჟდანოვმა.

„სიებით" გასამართლება საბჭოთა საქართველოში

„სტალინური ტერორის" ან „დიდი ტერორის" სახელით ცნობილი 1937-1938 წლებში განხორციელებული რეპრესიები XX საუკუნის ისტორიაში განსაკუთრებულ ადგილს იკავებს. არასრულ ორ წელში, ბოლშევიკურმა რეჟიმმა მასობრივად დახვრიტა და გადაასახლა მილიონზე მეტი საბჭოთა მოქალაქე. „დიდი ტერორის" ფარგლებში განსაკუთრებულ მნიშვნელობას ატარებს ე.წ. „სტალინური სიებით" გასამართლების ოპერაცია, რომელშიც, ძირითადად, ქალაქში მცხოვრები მოქალაქეები: ინტელიგენციის წევრები, მაღალჩინოსნები, სამხედროები, სასულიერო პირები მოხვდნენ. სხვა ოპერაციებისგან ("კულაკური", „ნაციონალური") განსხვავებით, გაცილებით მეტი იყო იმ ადამიანების რიცხვი, რომლებსაც სასჯელის უმაღლესი ზომა - დახვრეტა მიუსაჯეს. სულ სტალინური სიებით საქართველოში გასამართლდა 3 600-ზე მეტი ადამიანი, რომელთაგანაც 3 100-ზე მეტს სასიკვდილო განაჩენი გამოუტანეს[3].

„სიებით" მასობრივი გასამართლება დაიწყო სსრკ-ის სახალხო კომისართა საბჭოს 1934 წლის 1 დეკემბრის განკარგულებით[4], რომლითაც დადგინდა გამარტივებული სასამართლო წარმოების პროცედურები. სერგეი კიროვის[5] მკვლელობის დღეს გამოცემული ამ განკარგულების თანახმად, ტერორისტული ორგანიზაციებისა და ტერორისტული აქტების საქმეების შესახებ გამოძიება დაჩქარებული წესით (ათ დღემდე ვადაში) უნდა მომხდარიყო, სასამართლო სხდომა უნდა ჩატარებულიყო მხარეების მონაწილეობისა და მოწმეების გარეშე. 1934 წლის 1 დეკემბრის კანონი არ იძლეოდა არც კასაციის წესით გასაჩივრების და არც შეწყალების შესახებ შუამდგომლობის საშუალებას. გადაწყვეტილება, ძირითადად, სიკვდილით დასჯა, დაუყოვნებლივ უნდა აღსრულებულიყო.

---

[3] იხ.: https://stalin.historyproject.ge/history

[4] О внесении изменений в действующие уголовно-процессуальные кодексы союзных республик. Постановление ЦИК и СНК СССР 1 декабря 1934 г. Сборник законодательных и нормативных актов о репрессиях и реабилитации жертв политических репрессий. М., 1993. С. 33-34.

[5] **სერგეი მირონის ძე კიროვი (1886-1934)** - საბჭოთა სახელმწიფო და პოლიტიკური მოღვაწე. მკვლევრების აზრით, საბჭოთა კავშირში მასობრივი რეპრესიები სწორედ მის მკვლელობის გამო დაიწყო.

სია დგებოდა ადგილზე, ამ შემთხვევაში, საქართველოს უშიშროების სახალხო კომისარიატში (НКВД) და სანქცირებისთვის იგზავნებოდა მოსკოვში სტალინისა და პოლიტბიუროს სხვა წევრებთან. პოლიტბიუროს წევრების მიერ ხელმოწერილი სია ბრუნდებოდა უკან, და ადგილზე (თბილისში) იმართებოდა ფორმალური სასამართლო პროცესი, სადაც მოსკოვიდან ჩამოსული სსრკ-ის უზენაესი სასამართლოს სამხედრო კოლეგიის გასვლითი სესიის მიერ სიაში მყოფი პირების მიმართ გამოიყენებოდა სასჯელის ესა თუ ის ზომა.

გამოსარჩევია საქართველოში სიებით გასამართლების ისტორია. სამხედრო კოლეგია აქ მხოლოდ ორჯერ იმყოფებოდა - 1937 წლის ივნის-ივლისში და სექტემბერ-ოქტომბერში და ამ პერიოდში 910 საქმე განიხილა. 1937 წლის 30 ოქტომბერს სტალინისადმი მიწერილ მოხსენებით ბარათში ბერია წერდა, რომ *„გასული წლის განმავლობაში, საქართველოს შინსახკომმა (НКВД) დააკავა 12.000-ზე მეტი ადამიანი, გასამართლების ტემპები კი ჩამორჩებოდა“. „ამასთან დაკავშირებით საქართველოს კომუნისტური პარტიის (ბოლშევიკთა) ЦК КП(б) ცენტრალური კომიტეტი ითხოვს ნებართვას, სრულიად საკავშირო კომუნისტური პარტიის (ბოლშევიკთა) ცენტრალური კომიტეტის (ЦК ВКП(б))-ს დირექტივის თანახმად შექმნილ „განსაკუთრებულ სამეულს” განსახილველად წარედგინოს საქართველოს სოციალისტური საბჭოთა რესპუბლიკის შინსახკომის (НКВД ГССР) მიერ გამოაშკარავებული: 1) ტროცკისტული ტერორისტული დივერსიულ-ჯაშუშური ორგანიზაციის; 2) მემარჯვენეების ტერორისტულ-დივერსიული ჯაშუშური ორგანიზაციის მონაწილეების საქმეები.“*[6]

14 ნოემბერს ბერია საკითხს უფრო კონკრეტულად აყენებს - ითხოვს თანხმობას განსაკუთრებული სამეულის მიერ ბრალდებულთა 439-კაციანი სიის განხილვაზე, რომელთა საქმეებიც სსრკ-ის უზენაესი სასამართლოს სამხედრო კოლეგიას უნდა განეხილა. ეს საქართველოდან დასამტკიცებლად გაგზავნილი მეშვიდე სია იყო. 1937 წლის 22 ნოემბრის სიას ახლავს სტალინის, მოლოტოვისა[7] და ჟდანოვის[8] ვიზები. როგორც ჩანს, ამავდროულად, სტალინი დათანხმდა ბერიას წინადადებას. 1937 წლის 25 ნოემბერს გოგლიძის სახელზე გაიგზავნა ეჟოვის განკარგულება: *„შეუდექით თქვენი პირადი თავმჯდომარეობით, პროკურორის სავალდებულო მონაწილეობით, ადგილობრივი სამეულის მეშვეობით განხილვებს, რომელიც შეეხება სიაში მითითებულ 439 საქმეს, რომელიც 14 ნოემბერს №77487-ით წარმოადგინეთ. განხილვა ჩაატარეთ ცალკე სხდომაზე, კულაკების ოპერაციის საქმეებში აღრევის გარეშე. სასჯელის აღსრულების შემდეგ დაუყოვნებლივ გაგზავნეთ ყველა საქმე მოსკოვში, თითოეულ შემთხვევას დაურთეთ ამონაწერი სამეულის სხდომის ოქმიდან. ეჟოვი.“*[9]

---

[6] რუსეთის ფედერაციის პრეზიდენტის ადმინისტრაციის არქივი (АП РФ). Ф.3. Оп.58. Д.212. Л.137–139.

[7] **ვიაჩესლავ მიხაილის ძე მოლოტოვი (1890-1986)** - საბჭოთა პოლიტიკური და პარტიული მოღვაწე. პოლიტბიუროს წევრი “დიდი ტერორის” დროს. მოგვიანებით - სსრკ საგარეო საქმეთა მინისტრი.

[8] **ანდრეი ალექსანდრეს ძე ჟდანოვი (1896-1948)** - საბჭოთა პოლიტიკური და პარტიული მოღვაწე. პოლიტბიუროს წევრი “დიდი ტერორის” დროს.

[9] ფედერალური უსაფრთხოების სამსახურის ცენტრალური არქივი (ЦА ФСБ). Ф.3. Оп.4. Д.2256. Л.489; **ნიკოლაი ივანეს ძე ეჟოვი (1895-1940)** - სსრკ შინაგან საქმეთა სახალხო კომისარი 1936-1938 წლებში. “დიდი ტერორის” მთავარი აღმსრულებელი, მოგვიანებით, თავადაც დახვრეტილი.

ეს პირობა, როდესაც საქმეები სსრკ-ის უზენაესი სასამართლოს სამხედრო კოლეგიისთვის დამტკიცებული სიები იგზავნებოდა განსაკუთრებული სამეულისთვის, საქართველოს შემთხვევაში მომავალშიც შენარჩუნდა და სასამართლო ფუნქცია რეპრესიების ბოლომდე მთლიანად შეითავსა შინაგან საქმეთა სახალხო კომისარიატის განსაკუთრებულმა სამეულმა.

სტატისტიკური ანალიზი

სულ სტალინის მიერ 1937 წლის 22 ნოემბერს ხელმოწერილ სიაში ფიქსირდება 439 ადამიანის სახელი და გვარი.

- 434 მამაკაცი
- 5 ქალი

ყველაზე ასაკოვანი - 70 წლის, ყველაზე ახალგაზრდა- 22 წლის, საშუალო ასაკი - 39 წელი.

სასჯელის ზომა:

- დახვრეტა - 420[10]
- 10 წელი შრომა-გასწორების ბანაკში - 7
- 8 წელი შრომა-გასწორების ბანაკში - 4[11]
- 5 წელი შრომა-გასწორების ბანაკში - 3
- საქმე ბრალდებულთან ერთად გაიგზავნა სომხეთის შინსახკომის სახელმწიფო უშიშროების სამმართველოში - 2[12]
- გათავისუფლდა - 1
- გაურკვეველია - 2

---

[10] 2 პიროვნება ციხეში, დახვრეტამდე გარდაიცვალა, სავარაუდოდ - წამებით. ერთი მათგანი, **ნარსეს ივანეს ძე ნერსესიანი** გამოძიების პროცესში, ხოლო **გიორგი ივანეს ძე ჩხეიძეს** განსაკუთრებულმა სამეულმა დახვრეტა მიუსაჯა, თუმცა განაჩენი არ აღსრულდა და საქმე გაიგზავნა საგამოძიებო განყოფილებაში ხელახალი გამოძიებისთვის 13.04.1939 წელს. გამოძიების დროს, ბრალდებული ჩხეიძე გარდაიცვალა თბილისის ციხის საავადმყოფოში, 23.06.1939 წელს.

[11] 8 წლით შრომა-გასწორების ბანაკში თავისუფლების აღკვეთამისჯილი 2 პიროვნებიდან ერთ-ერთი, **რზა ხალილ იმანოვი** გათავისუფლდა მალევე, ხოლო მეორე - **დანიელ ვასილის ძე ფოჩიანი** - 9 თვეში.

[12] სომხეთის შინსახკომში გადაიგზავნა შემდეგი პიროვნებების საქმეები: **ამაიაკ სააკის ძე გალუსტიანი (1900-1938)** - სომხეთის სსრ კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის მესამე მდივანი. დახვრიტეს ერევანში 1938 წლის 16 სექტემბერს. **ანუშავან აგაფონის ძე არზუმანიანი (1904-1968)** - ეკონომისტი, მოგვიანებით საბჭოთა კავშირის მეცნიერებათა აკადემიის წევრი. 1939 წელს არზუმანიანი გაათავისუფლეს.



სიაში მყოფი 291 ადამიანის მიმართ განსაკუთრებული სამეულის სხდომა ჩატარდა 1937 წლის 2-4 დეკემბერს. სამეულს დღეში 24 საათიანი რეჟიმით რომ ემუშავა, თითო ადამიანის გასასამართლებლად საშუალოდ 15 წუთს გამოიყენებდა, ხოლო ჩვეულებრივი, 8 საათიანი სამუშაო დღის შემთხვევაში - 5 წუთზე ნაკლებს. ბოლო სხდომები გაიმართა 1938 წლის თებერვალში.

სულ ცნობილია 356 მსჯავრდადებულის დახვრეტის ზუსტი თარიღი. უმეტესობა მათგანი - 223 პიროვნება დახვრიტეს 1937 წლის 11 დეკემბერს.

გამსამართლებელი ორგანო, განსაკუთრებული სამეული, 432 შემთხვევაში დაკომპლექტებული იყო **სერგო გოგლიძის**[13], **შალვა წერეთლისა**[14] და **ილარიონ ტალახაძისგან**[15]. რამდენიმე შემთხვევაში სამეულს გამოაკლდა წერეთელი ან ტალახაძე -

[13] **სერგო გოგლიძე (1901-1953) –** საქართველოს სსრ შინაგან საქმეთა სახალხო კომისარი 1937 წლის 1 იანვრიდან – 1938 წლის 14 ნოემბრამდე. შინაგან საქმეთა სახალხო კომისარიატის განსაკუთრებული სამეულის წევრი, საქართველოში განხორციელებული "დიდი ტერორის" ყველაზე აქტიური მონაწილე. სტალინის სიკვდილის შემდეგ დააპატიმრეს და დახვრიტეს 1953 წლის 23 დეკემბერს. იმავე დღეს დახვრიტეს ლავრენტი ბერიაც.

[14] **შალვა წერეთელი (1894-1955)** - 1932-1938 წლებში იყო საქართველოს სსრ მუშათა და გლეხთა მილიციის სამმართველოს უფროსი; 1937-1938 წლებში შინაგან საქმეთა სახალხო კომისარიატის განსაკუთრებული სამეულის წევრი. 1939 წლიდან მსახურობდა ამიერკავკასიის სასაზღვრო ჯარების უფროსად, ასევე საქართველოს სსრ შინაგან საქმეთა სახალხო კომისარიატის პირველ მოადგილედ, შემდეგ საქართველოს სსრ სახელმწიფო უშიშროების მინისტრის მოადგილედ. 1955 წელს შალვა წერეთელი დააპატიმრეს და დახვრიტეს.

[15] **ილარიონ ტალახაძე (1894-1874)** - საქართველოს სსრ შინაგან საქმეთა სახალხო კომისრის მოადგილე (1921-1924), იუსტიციის სახკომის მოადგილე (1926-1928), უმაღლესი სასამართლოს თავმჯდომარე (1928),

ოქმებზე მათი ხელმოწერა არ ფიქსირდება. დანარჩენი 7 შემთხვევიდან: 2 პიროვნების პირადი საქმე გადაიგზავნა სომხეთის შინსახკომში, 1 ადამიანი გარდაიცვალა ციხეში, 1 გათავისუფლდა, 1-ის საქმე გადაეცა სამხედრო კოლეგიას, ხოლო 1 პიროვნების შემთხვევაში დოკუმენტებში არ ფიქსირდება, თუ ვისგან შედგებოდა განსაკუთრებული სამეული. პროფესორი **ვახტანგ კოტეტიშვილის** საქმეზე განსაკუთრებულ სამეულს თავმჯდომარეობდა **ბოგდან ქობულოვი**, ეპოქის ერთ-ერთი გამორჩეული ჯალათი, რომელიც ბრალდებულთა დაკითხვის სასტიკი ფორმებით იყო ცნობილი.[16]



თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის იურიდიული ფაკულტეტის დეკანი (1933-1936), საქართველოს სსრ პროკურორი (1936-1946), შინაგან საქმეთა სახალხო კომისარიატის განსაკუთრებული სამეულის წევრი.

[16] Никита Петров, Палачи: они выполняли заказы Сталина, *Новая Газета*, 2011, стр. 109-125.

საცხოვრებელი ადგილი



განათლება



პარტიულობა



პროფესია/საქმიანობა



1937 წლის 22 ნოემბრის სიაში აღმოჩნდა 12 სახალხო კომისარი (სახკომი) - თანამედროვე მინისტრის ეკვივალენტი. მათ შორის იყვნენ როგორც მოადგილეები და ავტონომიური რესპუბლიკის მინისტრები, ასევე საქართველოს სსრ-ის უმაღლესი თანამდებობის პირები: საქართველოს სსრ იუსტიციის სახალხო კომისარი, **ვალერიან ერმილეს ძე მეტონიძე**; მიწათმოქმედების ყოფილი და მიმდინარე სახკომები - **ვარლამ გრიგოლის ძე ბერიძე** და **თევდორე ალექსანდრეს ძე კორსაველი;** ხე-ტყის მრეწველობის

სახკომი **ალექსანდრე ივანეს ძე ვასილიევი;** შიდა ვაჭრობის სახალხო კომისარი **ნიკოლოზ ევსევის ძე ფანცხავა;** კომუნალური მეურნეობის სახკომი **პარმენ ლუარსაბის ძე წულუკიძე;** ადგილობრივი მრეწველობის სახალხო კომისარი **ვასილ კაპიტონის ძე ანთიძე**.

წმენდა ჩატარდა უმაღლეს სასწავლებლებშიც. დახვრიტეს თბილისის პედაგოგიური ინსტიტუტის დირექტორი, **გერმანე არსენის ძე დოლიძე** და მისი მოადგილე - **იროდიონ იგორის ძე ობოლაშვილი;** საქართველოს სახელმწიფო უნივერსიტეტის ეკონომიკური ფაკულტეტის დეკანი **ივანე პეტრეს ძე მეტრეველი;** თბილისის სატყეო-ტექნიკური ინსტიტუტის დირექტორი **იოსებ (ბორის) თევდორეს ძე ორლოვი;** სოხუმის სამედიცინო ტექნიკუმის დირექტორი **თამარ ბახრამის ასული ახუნდოვა-აგრბა**; სახელმწიფო უნივერსიტეტის ლექტორი და საქართველოს ალკკ ცკ პროპაგანდის ინსტრუქტორი **არსენ პეტრეს ძე მამაიაშვილი**.

სიაში მოხვედრილ ადამიანებს შორის, სულ 295-ს აქვს ანკეტაში პროფესია მითითებული. თუმცა ბევრი მათგანი, ვისაც პროფესია არ აქვს მითითებული, იკავებდნენ საკმაოდ საპასუხისმგებლო პოზიციებს სახელმწიფო სტრუქტურებში[17]. სხვადასხვა რაიონული აღმასრულებელი კომიტეტის თავმჯდომარეები, კოლმეურნეობის დირექტორები, რაიკომის ინსტრუქტორები, სხვადასხვა დონის ხელმძღვანელი თანამდებობის პირები. მათთან ერთად ისეთი პროფესიის ადამიანები, როგორებიცაა: ვეტექიმი, მებოსტნე, ზეინკალი, თარჯიმანი, დურგალი, ლუდის მხარშავი და ა.შ.

პიროვნებები

22 ნოემბრის რეპრესირებულთა სიაში მოხვდნენ ხელოვნების სფეროსთან დაკავშირებული ცნობილი ადამიანები:

ტიციან იუსტინეს ძე ტაბიძე (1893-1937) - პოეტი. ბრალად დასდეს, რომ იყო საქართველოს ნაციონალურ-ფაშისტური ორგანიზაციის აქტიური წევრი. მავნებლობდა ხელოვნებისა და კულტურის სფეროში. ასევე ჯაშუშობდა საფრანგეთის დაზვერვის სასარგებლოდ.

ევგენი სიმონის ძე მიქელაძე (1903-1937) - ქართველი დირიჟორი, თბილისის ოპერისა და ბალეტის სახელმწიფო თეატრის სამხატვრო ხელმძღვანელი. ბრალად დასდეს ანტისაბჭოთა მემარჯვენე ორგანიზაციის წევრობა, რომლის დავალებით მავნებლობდა ოპერის თეატრში. იყო საქართველოში ანტისაბჭოთა მემარჯვენე ორგანიზაციის ცენტრისა და ხალხის მტრის მ.

---

[17] მათ შორის: **დიმიტრი ივანეს ძე ალანია** - აფხაზეთის ასსრ სახგეგმის თავმჯდომარე; **თემისტოკლე ვასილის ძე ამირიდი** - ბათუმის ჩაის კანტორის უფროსი; **მეთოდე აგაფონის ძე სუგაკი** - ჩაქვის ჩაის ფაბრიკის დირექტორი; **პეტრე მიხეილის ძე გეპნერი** - „საქკვებმშენის"-ს დირექტორი; **ფელიქს სოლომონის ძე სპრინკველი** - ფოთის პორტის ყოფილი უფროსი; **პლატონ ესტატეს ძე შიშნიაშვილი** - ცეკავშირის თავმჯდომარე; **აბრაამ ისრაელის ძე ლინეცკი** - საქ. სსრ შინაგან სახალხო კომისარიატის საპატიმრო ადგილების სამმართველოს უფროსი, შინსახკომის კადრების განყოფილების, ოზურგეთის, ზნაურის, ყვარლის რაიგანყოფილების უფროსები.

ორახელაშვილის მოკავშირე. იმავდროულად, იყო ჯაშუშური კონტრრევოლუციური ორგანიზაციის წევრი, აქტიურად მუშაობდა ჯაშუშური ხასიათის ინფორმაციის მოპოვებაზე და უგზავნიდა მას ქალაქ მოსკოვში მ. ორახელაშვილს.

ევგენი მიქელაძე (1893–1937), ტიციან ტაბიძე (1895-1937)

ფოტოები დაცულია საქართველოს პარლამენტის ეროვნული ბიბლითეკის კოლექციაში "ეროვნული ფოტომატიანე"

გარდა ევგენი მიქელაძისა, 1937 წლის 22 ნოემბრის სტალინურ სიაში აღმოჩნდა კიდევ ოთხი მოღვაწე ხელოვნების სფეროდან, რომელთაც მნიშვნელოვანი თანამდებობები ეკავათ: რუსთაველის თეატრის დირექტორი - **გიორგი სიმონის ძე გუგუნავა (1901-1937)**, მოსკოვის მცირე თეატრის დირექტორი და სამხატვრო ხელმძღვანელი - **სერგო ივანეს ძე ამაღლობელი (1899-1938),** საქართველოს სახელმწიფო კინომრეწველობის დირექტორი - **ამბროსი სიმონის ძე თითბერიძე (1901-1937),** სახელმწიფო თეატრალური ფილარმონიის ესტრადის კოლექტივის დირექტორი **- ტიგრან ავეტისის ძე თარუმოვი (1895-1937).**

ვახტანგ ილიას ძე კოტეტიშვილი (1893-1937) - ქართული ფოლკლორისტიკის ერთ-ერთ ფუძემდებელი. თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტისა და ქუთაისის პედაგოგიური ინსტიტუტის პროფესორი. სამხატვრო აკადემიის რექტორი 1930-1932 წლებში. გასამართლების ოქმის მიხედვით ირკვევა, რომ ვახტანგ კოტეტიშვილს ბრალად დასდეს, რომ ის “იყო სოციალ-ფედერალისტთა კონტრრევოლუციური, ნაციონალისტური, მეამბოხე, მავნებლური ორგანიზაციის აქტიური წევრი, რომელიც მიზნად ისახავდა საბჭოთა ხელისუფლების დამხობას, საქართველოს სსრკ-დან გამოყოფასა და საქართველოში ბურჟუაზიულ-დემოკრატიული წყობის

დამყარებას. კონტრრევოლუციურ ორგანიზაციაში 1930 წელს გადაიბირა ხალხის მტერმა, სოციალ-ფედერალისტთა მთავარი არალეგალური კონტრრევოლუციური ორგანიზაციის წევრმა, ქრისტოფორე რაჭველიშვილმა. ამ უკანასკნელის მეშვეობით, მას უშუალო კავშირი ჰქონდა სოციალ-ფედერალისტების მთავარ კონტრრევოლუციურ კომიტეტთან. იცოდა უცხოეთთან კონტაქტის შესახებ, უშუალოდ ჰქონდა შეხება იმ პირებთან, რომლებიც უკავშირდებოდნენ საზღვარგარეთს. ასევე ურთიერთობა ჰქონდა საზღვარგარეთ ემიგრირებულ სოციალ-ფედერალისტთა ყოფილ ლიდერებთან. იყო ამბოხების მომზადების საქმის კურსში და ახორციელებდა ჩამშლელ-მავნებლურ საქმიანობას თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტისა და საქართველოს მწერალთა კავშირში. შექმნა და ხელმძღვანელობდა სოციალ-ფედერალისტთა კონტრრევოლუციურ ნაციონალისტურ ორგანიზაციას თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში, რომელიც შედგებოდა ორი კონტრრევოლუციური დაჯგუფებისგან/რგოლისგან. მთავარ დაჯგუფებაში შედიოდნენ: პროფესორ-პედაგოგები და ახალგაზრდები. კოტეტიშვილი ასევე იყო საქართველოს მწერალთა კავშირში არსებული სოციალ-ფედერალისტთა კონტრრევოლუციური ნაციონალისტური ორგანიზაციის ერთ-ერთი ფუძემდებელი”.

ვახტანგ კოტეტიშვილი (1893-1937)

ფოტო დაცულია საქართველოს პარლამენტის ეროვნული ბიბლითეკის კოლექციაში "ეროვნული ფოტომატიანე"

კონსტანტინე ჯიბრაილის ძე იაშვილი (1900-1937) - პაოლო იაშვილის ძმა, სახელმწიფო ბანკის საქართველოს კანტორის საქალაქო სამმართველოს მთავარი ბუღალტერი. მას ბრალად დასდეს, რომ 1934 წელს გადაიბირეს კონტრრევოლუციურ ფაშისტურ ჯაშუშურ-ტერორისტულ, დივერსიულ-მავნებლური ორგანიზაცია „თეთრ-გიორგიში“.

კონსტანტინე იაშვილი (1900-1937)

ფოტო დაცულია საქართველოს პარლამენტის ეროვნული ბიბლითეკის კოლექციაში "ეროვნული ფოტომატიანე"

დავით გიორგის ძე დემეტრაძე (1904-1937) - მწერალთა კავშირის პასუხისმგებელი მდივანი, რომელიც, მიუხედავად იმისა, რომ დახვრეტამდე რამდენიმე თვით ადრე პაოლო იაშვილის თვითმკვლელობა „პროვოკაციულ აქტად“ შეაფასა, სისტემამ მაინც არ დაინდო. საგულისხმოა, რომ დავით დემეტრაძის გარდა, 22 ნოემბრის სიაში მოხვდა მისი ტყუპისცალი ძმა, **კონსტანტინე გიორგის ძე დემეტრაძეც (1904-1937),** საქ. სსრ კომპარტიის ცკ-ს სასკოლო განყოფილების გამგე. ძმები ერთ დღეს, 11 დეკემბერს დახვრიტეს.

სხვა გასამართლებულები:

სარქის (სერგო) ოგანესის ძე კასიანი (1876-1937) - სომეხი საბჭოთა პუბლიცისტი და პარტიული მოღვაწე. 1905-1907 წლების რევოლუციის პერიოდში ბოლშევიკური სომხური სტამბის დამაარსებელი. 1912-1914 წლებში ხელმძღვანელობდა თბილისის პარტიულ ორგანიზაციას. 1917 წლიდან იყო სომხური ბოლშევიკური გაზეთების რედაქტორი. 1919 წლიდან გახდა სომხეთის რევკომის მდივანი. 1924 წლიდან „26 ბაქოელი კომისრის“ ამიერკავკასიის კომუნისტური უნივერსიტეტის რექტორი. 1927-1931 წლებში ამიერკავკასიის ფედერაციული რესპუბლიკის აღმასკომის თავმჯდომარე.

ერმილე (ერიკ) ალექსის ძე ბედია (1901-1937) – გაზეთ „კომუნისტის“ რედაქტორი. ლავრენტი ბერიას სახელობით გამოცემული წიგნის - „ბოლშევიკური ორგანიზაციების განვითარების საკითხი ამიერკავკასიაში“ («К вопросу о развитии большевистских организаций в Закавказье») - ერთ-ერთი რეალური ავტორი. ე.წ. „ბედიას ჯგუფის“ წევრობის ბრალდებით მრავალი ადამიანი ემსხვერპლა რეპრესიებს და ისევე როგორც თავად მას, სხვებსაც ბრალდებაში ჩაუწერეს მონაწილეობა ბერიას წინააღმდეგ ტერაქტის მომზადებაში. როგორც ამავე სიით რეპრესირებული კიდევ ერთი პიროვნების, **გრიგოლ ყარამანის ძე სოსელიას (1906-1937)** შვილი, საზოგადოება „საქართველოს მემორიალის“ თავმჯდომარე, გურამ სოსელია იხსენებს[18], ბედია და ჯგუფის წევრები პირად საუბრებში არ მალავდნენ, რომ წიგნი სინამდვილეში არა ბერიამ, არამედ მათ დაწერეს. სწორედ ამას უკავშირებს იგი მამისა და ე.წ. „ბედიას ჯგუფის“ სხვა წევრების დახვრეტას.

ერმილე ბედია (1901-1937)

ფოტო დაცულია საქართველოს პარლამენტის ეროვნული ბიბლითეკის კოლექციაში "ეროვნული ფოტომატიანე"

ანდრია (ანდრეი) ვასილის ძე ლოსკუტოვი (1892-1937) - საქართველოს პირველი რესპუბლიკის დამფუძნებელი კრების წევრი. ეროვნებით რუსი, აღმსარებლობით - მალაკანი. 1919 წლის 12 მარტს აირჩიეს საქართველოს რესპუბლიკის დამფუძნებელი კრების წევრად

[18] https://www.youtube.com/watch?v=d0QQ_-mOog4

საქართველოს სოციალ-დემოკრატიული მუშათა პარტიის სიით. იყო შრომის კომისიის წევრი. 1921 წელს საბჭოთა რუსეთის მიერ საქართველოს ოკუპაციის შემდეგ დარჩა საქართველოში და მუშაობდა სახელმწიფო დაწესებულებებში.

მემედ გულოს ძე კაიკაციშვილი (1898-1937) - მოსამართლე, აჭარის უმაღლესი სასამართლოს წევრი. ბრალად დასდეს, რომ იყო კ/რ მეამბოხე-ჯაშუშური ორგანიზაციის მონაწილე, რომელიც მიზნად ისახავდა შეიარაღებული აჯანყების გზით საბჭოთა ხელისუფლების დამხობასა და აჭარის თურქეთთან შეერთებას. ირონიულია ის ფაქტი, რომ მამამისი, გულო კაიკაციშვილი (1840-1923), რომელსაც ილია ჭავჭავაძე „აჭარის გულს“ უწოდებდა[19,] მთელი ცხოვრება იბრძოდა აჭარის დედასამშობლოსთან შეერთებისთვის, ატარებდა ქართული ენის დაცვის იდეებს ქობულეთის მხარეში. გამოდიოდა მუჰაჯირობის წინააღმდეგ 1877—1878 წლებში რუსეთ-ოსმალეთის ომის დროს, ქობულეთში, საკუთარ საგვარეულო მამულში გახსნა პირველი ქართული სკოლა.

ანუშავან აგაფონის ძე არზუმანიანი (1904-1965) - ეკონომისტი, მოგვიანებით საბჭოთა კავშირის მეცნიერებათა აკადემიის წევრი. მისი და მისი საქმის სომხეთის შინსახკომის სახელმწიფო უშიშროების სამმართველოში გადაგზავნის შემდეგ, როგორც ცნობილია, მასზე ახორციელებდნენ ფიზიკურ ზეწოლას - წამებას. 1939 წელს იგი გაათავისუფლეს[20]. საგულისხმოა, რომ არზუმანიანის ქვისლი იყო ცნობილი საბჭოთა პარტიული მოღვაწე, პოლიტბიუროს წევრი ანასტას მიქოიანი.

რეპრესირებული ქალები:

თამარ ბახრამის ასული ახუნდოვა-აგრბა (1909-1937) - სოხუმის სამედიცინო ტექნიკუმის დირექტორი. ბრალად დასდეს, რომ კავშირი ჰქონდა მემარჯვენეთა ანტისაბჭოთა ორგანიზაციის ხელმძღვანელ პირებთან, ახორციელებდა ძირგამომთხრელ საქმიანობას და საქმის კურსში იყო კომპარტიისა და საბჭოთა მთავრობის ხელმძღვანელების წინააღმდეგ ტერორისტული აქტების მზადების შესახებ.

ბარბარე ვასილის ასული გაბუნია (1899-1937) - ისტორიის პედაგოგი 53-ე სკოლაში. 1921 წელს დაპატიმრებული იყო საქართველოს საგანგებო კომისიის მიერ კონტრრევოლუციური საქმიანობის გამო. ბრალად დასდეს, რომ 1935 წ. პოლონეთის დაზვერვისთვის სამუშაოდ გადაიბირა დაზვერვის რეზიდენტმა. 1935-1937 წლებში აგროვებდა და გადასცემდა ჯაშუშურ შეტყობინებებს ჯერ დაზვერვის რეზიდენტის მეშვეობით, ხოლო 1936 წლიდან პირადად პოლონეთის კონსულს.

---

[19] ძიძარია ნ., მას ილიამ „აჭარის გული“ უწოდა, გაზეთი „აჭარა“, 2011, 16 ივლისი.

[20] Арзуманян Анушаван Агафонович // Большая советская энциклопедия: [в 30 т.] / под ред. А. М. Прохоров — 3-е изд. — М.: Советская энциклопедия, 1969.

ფოტოზე მარჯვნივ - ბარბარე გაბუნია (1899-1937)

ფოტო დაცულია ბარბარე გაბუნიას შვილიშვილის, შალვა გაბუნიას საოჯახო კოლექციაში

რაისა ივანეს ასული დალაქიშვილი (1904-1937) - ორჯონიკიძის რაიონული კომიტეტის ინსტრუქტორი. საქართველოს ალკკ (კომკავშირი) ტერიტორიული განყოფილების ორჯონიკიძის რაიკომის ყოფილი მდივანი. ბრალად დასდეს, რომ ატარებდა მავნებლურ-ძირგამომთხრელ საქმიანობას ორჯონიკიძის რაიონის კომკავშირულ ორგანიზაციებში, კერძოდ, სახელმწიფო უნივერსიტეტში და სამედიცინო ინსტიტუტში. 1936-1937 წწ. ჩაშალა პოლიტიკური სწავლება. კონტრრევოლუციურ ორგანიზაციაში იბირებდა ახალ წევრებს. იცოდა ორგანიზაციის მთელი საქმიანობის შესახებ.

ანა იუსტინის ასული პანცირნაია (1906-1937) - საქართველოს კომუნისტური პარტიის თბილისის კომიტეტის ინსტრუქტორი. ბრალად დასდეს მემარჯვენეთა კ/რ ორგანიზაციის წევრობა და კ/რ საქმიანობა.

ლიდია არტემის ასული სტარშოვა (1913-1937) - საქართველოს შინსახკომის მე-4 განყოფილების თანამშრომელი, მანქანაზე მბეჭდავი. ბრალად დასდეს, რომ შინსახკომის თანამშრომლად მუშაობის დროს კავშირი ჰქონდა კონტრრევოლუციური შეთქმულების მონაწილე - სულთანიშვილთან, რომელსაც მუდმივად აწვდიდა ინფორმაციას შინსახკომში არსებული ყველა მასალის შესახებ, რომელიც ეხებოდა კონტრრევოლუციური შეთქმულების წევრებს.

ხუთივე ქალს მიესაჯა სასჯელის უმაღლესი ზომა - დახვრეტა.

დასკვნა:

1937 წლის 22 ნოემბრის სია წარმოადგენს ჰანა არენდტის მიერ დამკვიდრებული ტერმინის - „ბოროტების ბანალურობის“ ნათელ მაგალითს. სიაში მოხვედრილი ადამიანების მიმართ ბრალდებები გაჯერებულია „აგენტომანიით“, ყველა სფეროში ჯაშუშებისა და რეზიდენტების ძებნისა და გამოვლენის სურვილით, რაც ჩაკეტილი საზღვრებისა და ინფორმაციის გადაცემის შეზღუდული საშუალებების პირობებში არარეალური იყო განხორციელებულიყო საბჭოთა საქართველოში.

1937-1938 წლების “დიდი ტერორის” რეალურ მიზნებს შორის საკითხის სპეციალისტები გამოყოფენ ხელისუფლების კონსოლიდაციას, სავარაუდო პოლიტიკური ოპოზიციისა და ძველი ბოლშევიკების სრულ განეიტრალებას, ინდუსტრიალიზაციისა და კოლექტივიზაციის მოწინააღმდეგეების გაჩუმებას, იდეოლოგიური ერთფეროვნების დამკვიდრებას და მრავალ სხვა მიზეზს. უშუალოდ “სტალინური სიებით” გასამართლების მაგალითებით თუ ვიმსჯელებთ, ამ სიას შეგვიძლია დავამატოთ შიშის, ტერორის და საყოველთაო უნდობლობის დანერგვა, ავტორიტეტების მსხვრევა და “საბჭოთა ადამიანის” ფორმირების პროცესის საბოლოო გადაწყვეტა. სტალინმა მასობრივი რეპრესიებით ყველა ჩამოთვლილ მიზანს მიაღწია.

ინტენსიური რეპრესიების ეპოქის შემდეგაც, საბჭოთა საზოგადოებაში შიშისა და უნდობლობის მემკვიდრეობა შენარჩუნდა. რეპრესიით გამოწვეული ტრავმა გავლენას ახდენდა ინდივიდებსა და საზოგადოებაზე თაობების განმავლობაში. რეპრესიულმა პოლიტიკამ ჩამოაყალიბა საბჭოთა კავშირის პოლიტიკური კულტურა, ხელი შეუწყო „ავტორიტეტისადმი“ შესაბამისობისა და მორჩილების გარემოს, რამაც ხანგრძლივი გავლენა იქონია სამოქალაქო საზოგადოებისა და დემოკრატიული ღირებულებების განვითარებაზე პოსტსაბჭოთა ეპოქაში.

რთულია, 1937 წლის 22 ნოემბრის სიაში მოხვედრილი ზოგიერთი პიროვნების საქმიანობის სფეროსა და ბრალდებას შორის ურთიერთკავშირის მოძებნა: მაგალითად, სამკურნალო-სანიტარული სამმართველოს იურისტ-კონსულტანტი, **დიმიტრი ესტატეს ძე ღამბაშიძე**, რომელსაც ბრალად დასდეს ამერიკული და ინგლისური სადაზვერვო სამსახურების აგენტობა. ბუღალტერი **ხარაზოვი** - რომელიც ამერიკის დაზვერვის აგენტობაში დასდეს ბრალი, მაკარონის ფაბრიკის პარტკომის მდივანი და სასადილოს გამგე **თომა ცერცვაძე** - რომელიც

ბრალდების თანახმად გესტაპოს აგენტი და ფაშიზმის აგიტატორი “აღმოჩნდა”, ასევე გესტაპოს აგენტობაში დასდეს ბრალი, ლუდის მხარშავ **ქრისტოფორ ქრისტოფორის ძე ფორერს**. რამდენიმე ათეული ადამიანი გასამართლდა სტალინისა და ბერიას მიმართ ტერორისტული აქტის მომზადების ბრალდებით.

…და, კიდევ რამდენიმე სტატისტიკური ინფორმაცია: 439-დან 62 ადამიანის ბრალდების ერთ-ერთ დასაბუთებას ვინმეს მიერ ჩვენებით „მხილება“ წარმოადგენს. 46 მათგანი ამზადებდა ტერაქტს ლავრენტი ბერიას, ხოლო 2 - **ვასილ გიორგის ძე ჟუჟუნავა** და **ივანე ვოლკოვსკი (ფომიჩევი) გიორგის ძე** - თავად ბელადის, სტალინის წინააღმდეგ[21]. 3 რეპრესირებული ჯაშუშობდა იაპონიის სასარგებლოდ…

[21] აღნიშნული 2 ადამიანის, აფხაზეთის ასსრ შინაგან საქმეთა სახალხო კომისრისა და მისი მოადგილის ბრალდებები სავარაუდოდ უკავშირდება 1933 წლის 23 სექტემბერს მომხდარ ინციდენტს, როდესაც სტალინის შავ ზღვაში გასეირნების დროს სანაპიროდან, საგუშაგოდან გამაფრთხილებელი გაისროლეს. ინციდენტი მალევე გაირკვა და აღმოიფხვრა. თუმცა, 6 წლის შემდეგ აღნიშნული ეპიზოდი არაერთი რეპრესირებულის ბრალდებაში აღმოჩნდა და ყველაფერი ხალხის მტრად შერაცხილ **ნესტორ ლაკობას (1893-1936)** დაჰბრალდა. იხ.: Большой террор в Абхазии (Абхазская АССР): 1937-1938 гг., Том II, 2017.